

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი # 8

ქ. ონი

29. 08. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი მეტრეველი, მამია ყავლაშვილი, გელა მეტრეველი, ღვთისავარ ბაკურაძე, ვლადიმერ ჩლაიძე, როზა ჩალაძე, გიორგი მაისურაძე, ბესიკი მაისურაძე, ალექსანდრე ბერიშვილი, ვანო ბაღაშვილი, გიორგი სულაძე, სერგო ლობჯანიძე, ანა ბაქრაძე, დავით სხირტლაძე, აველი ორდინიძე.

**არ ესწრებოდა 11 წევრი:** გიორგი მარკოიშვილი, შორენა რეხვიაშვილი, სონია გუგეშაშვილი, გოჩა მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე, ირმა სტეფანაძე-იაშვილი, კესო ჩარკვიანი, ვლადიმერ ჩლაიძე, დიმიტრი გოშაძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, დავით მეტრეველი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დიმიტრი საყვარელიძე, მოადგილე ეკატერინე მაისურაძე, მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ირინა გობეჯიშვილი, იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, შ.პ.ს. „მოედანი-2009“-ს დირექტორი კახაბერ ჩიკვილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. მარიამ გობეჯიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

2. „ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. მარიამ გობეჯიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

3. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ირინა გობეჯიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ.შ./

4. „ქ.ონში აღმაშენებლის მოედანი N1-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე მარჯვენა ფლიგელში 2 ოთახის, საერთო ფართობით -36.00 კვ.მ (ს/კ 88.18.25.006), ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ივნისის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ირინა გობეჯიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ.შ./

5. „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ..

/მომხს. ეკატერინე მაისურაძე-მერის მოადგილე/

6. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი/

7.სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

8.გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით შ.პ.ს კომუნალური სამსახურის გაწეული სამსახურის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს. ვანო ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე  
მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი  
დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს: 1.** „ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. მარიამ გობეჯიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ და აღნიშნა, რომ საჭიროა შევიდეს ცვლილება მე-10 მუხლის სათაურსა და „ი“ ქვეპუნქტში. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით-„მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება“ , ხოლო „ი“ ქვეპუნქტი შემდეგნაირად- „სახელმწიფო პროექტების ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რედისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ.“

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მოისმინეს: 2.** „ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. მარიამ გობეჯიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის # 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ საჭიროა ცვლილება შევიდეს პირველი მუხლის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელიათავის

საქმიანობაში, ანგარიშვალდებულია ონის მერის წინაშე და „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრი) კოორდინირებულად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მოისმინეს: 3.** ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხ. ირინა გობეჯიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ.შ./

ი. გობეჯიშვილმა სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და განმარტა, რომ აღნიშნულ ნუსხაში შეტანილია ავტობუსები, რომელთა ექსპლუატაციის ვადა გასულია. მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვა მოხდება ტენდერის გზით და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ტექნიკურად გამართული ტრანსპორტი მოემსახურება, რაც საუკეთესო გამოსავალია შექმნილ სიტუაციაში.

აზრი გამოთქვას: ალ. კერვალიშვილმა დასვა შეკითხვა, გასაყიდი ტექნიკა არის თუ არა ამორტიზებული, ექსპლუატაციისთვის უვარგისი და თუ არა, რის საფუძველზე იყიდება, ასევე დაინტერესდა, საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შემთხვევაში გაჩერდება თუ არა ნუსხაში მოყვანილი ტექნიკა და თუ არ გაჩერდება, რის საფუძველზე იმომრავებს თუ აღნიშნული ტექნიკით უკვე აღარ შეიძლება გადაადგილება, გაყიდული ტექნიკის სანაცვლოდ რას ვთავაზობთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, ამ ფორმით იგი წარმოდგენილი საკითხის დამტკიცების წინააღმდეგია, რადგან ავტობუსების გაყიდვით შეიქმნება ვაკუუმი, ალტერნატიული ფორმა მოსახლეობის მომსახურების კი მოძებნილი არაა, რაც დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს.

ვ. მეტრეველმა განაცხადა, რომ საჭიროა კარგად გათვლილი, ფინანსურად გამართული, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული პროექტი, რომ მუნიციპალიტეტი სამართლებრივად იყოს დაცული და ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობა კმაყოფილი, ამისთვის კი საჭიროა საკითხის საფუძვლიანად შესწავლა და ლოგიკური დასკვნის გამოტანა.

კ. ჩიკვილაძემ ისაუბრა საპრივატიზებო ნუსხაში შეტანილი ტრანსპორტის გაუმართაობაზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ავტობუსები ვერ გაივლიან ტექ.დათვალიერებას, შეუძლებელია მათი შეკეთება, რადგან მათი ავტონაწილები აღარ იყიდება, ამ ეტაპზე ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რომ პროცესი დაიდრას და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეეძლოს უსაფრთხო გადაადგილება.

დ. საყვარელიძემ განმარტა, ტრანსპორტის მომსახურების პროცედურა არ გაჭიანურდება, დროულად მოხდება ალტერნატიული გამართული ტრანსპორტით მწყობრიდან გამოსული ტექნიკის ჩანაცვლება და ეს არის სწორი სვლა შექმნილ სიტუაციაში.

შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მთავარი მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო მომსახურებაა, რისთვისაც საჭიროა დროულად მოხდეს ყველა აუცილებელი პროცედურის გავლა.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე 21, წინააღმდეგი 1

**გადაწყდა:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს: 4.** „ქ.ონში აღმაშენებლის მოედანი N1-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე მარჯვენა ფლიგელში 2 ოთახის, საერთო ფართობით -36.00 კვ.მ (ს/კ 88.18.25.006), ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ივნისის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ირინა გობეჯიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ.შ./

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ქ.ონში აღმაშენებლის მოედანი N1-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე მარჯვენა ფლიგელში 2 ოთახის, საერთო ფართობით -36.00 კვ.მ (ს/კ 88.18.25.006), ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს: 5.** „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ე. მაისურაძე-მერის მოადგილე /

ე. მაისურაძემ სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ვ. ნეტრეველმა და ვლ. ბერელიძემ ისაუბრეს სოფლებში ამ კუთხით არსებულ ურთულეს მდგომარეობაზე და პრობლემის დროული და გადაუდებელი მოგვარების აუცილებლობაზე.

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს: 6.** ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

**მოისმინეს: 7.** სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

გ. მეტრეველმა სხდომას გააცნო ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ.

**მოსმინეს: 8.** გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით, შ.პ.ს კომუნალური სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ. ინფორმაციის მოსმენა.  
მომხს. ვანო ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე.

ვ. ბალაშვილმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია შ.პ.ს კომუნალური სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდეგ დეპუტატებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე, კერძოდ, რ. ჩალაძემ დასვა სოფ. ნაკიეთში ადმინისტრაციული შეოიონობის რეაბილიტაციის აუცილებლობის საკითხი.

ვლ. ბერელიძემ განაცხადა, რომ სოფ. საკაოში შესაცვლელია სასმელი წყლის მილები, რაზეც დ. საყვარელიძემ აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში მოხდება მილების შექმნა და პრობლემა მალე გადაიჭრება.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**შუქურა ჯაფარიძე**

საკრებულოს თავმჯდომარე